ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 242

15 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა №51 (ს/კ. №01.10.15.023.027; №01.10.15.023.006; №01.10.15.023.018; №01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის" (ს/ნ. 404888092), შპს „აქსის გრუპის" (ს/ნ. 404954117), შპს „აქსისის"(ს/ნ 211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. №26 (ს/კ.№01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2"-ის (ს/ნ. 205090391) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და ,,დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა №51 (ს/კ. №01.10.15.023.027; №01.10.15.023.006; №01.10.15.023.018; №01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის" (ს/ნ. 404888092), შპს „აქსის გრუპის" (ს/ნ 404954117), შპს „აქსისის"(ს/ნ. 211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. №26 (ს/კ. №01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2"-ის (ს/ნ 205090391) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის №21.790.910 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, დაინტერესებულ პირების - შპს „საირმე პალასი" (ს/ნ. 404888092), შპს „აქსის გრუპი" (ს/ნ. 404954117), შპს „აქსისი" (ს/ნ. 211393357), იმა „აქსისი პალასი 2" (ს/ნ. 205090391) მიმართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №21.684.796, 28.05.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

შეთანხმებული (განკარგულება №209, 1.06.2021) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე:

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა №51 (ს/კ. .№01.10.15.023.027; №01.10.15.023.006; №01.10.15.023.018; №01.10.15.023.026), ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ №26 (ს/კ. №01.10.17.002.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ვალდებულება - მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინონ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე - მიეცეთ უფლება აღნიშნულ საკითხზე, ალტერნატივის სახით, წარმოადგინონ ასევე შესაბამისი აკრედიტებული ექსპერტიზის ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნა.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე